



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 144

2011 წლის 28 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოს გამარტივებელი შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 21 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA 110026825) გამოცხადებული იყო გამარტივებელი ელექტრონული ტენდერი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოს შესყიდვაზე, რომელსაც 2011 წლის 26 ოქტომბერს მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა“. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოს შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისში არტეზიული ჭის მოწყობის სამუშაოს გამარტივებელი შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

